ნაირა ტარუღაშვილი
ქ. თელავის VII-ბაგა ბაღი

სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომლობის მნიშვნელობა ოჯახთან და თემთან

DOI: 10.52340/erp.2024.05.11

აბსტრაქტი

ბავშვებთან ეფექტური მუშაობა, ოჯახებთან პარტნიორული ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია. საუკეთესო შედეგებს, ოჯახის და საბავშვო ბაღის მიდგომების თანხვედრა და მათი შეთანხმებული მოქმდება განაპირობებს. ბავშვი ვითარდება ორივე გარემოში, ოჯახშიც და ბაღშიც. ის სწავლობს მაგალითებზე, ურთიერთობით.

ბავშვი საერთო ინტერესია, ეს ორი მხარე ერთმანეთს უნდა ავსებდეს და აძლიერებდეს, ურთიერთპატივისცემა, ღია კომუნიკაცია, ინფორმაციის თანამიმდევრული გაცვლა, ერთმანეთის მოსმენა, ურთიერთგაგება, ერთმანეთისაგან სწავლა და თანამშრომლობა ბავშვის კეთილდღეობას ემსახურება. სტატიაში მიმოხილულია ბაღის ცხოვრებაში ოჯახისა და თემის ჩართულობის პრაქტიკული მაგალითები და ბავშვების პრაქტიკული აქტივობის ნიმუშები, რომლებიც თავად ბავშვის განვითარებაზე ახდენს პოზიტიურ გავლენას, ხოლო მშობლებსა და თემს მეტ მოტივაციას აძლევს ბაღის ცხოვრებაში მეტი ჩართულობისათვის.

საკვანძო სიტყვები: მშობელთან პოზიტიური თანამშრომლობა, მოხალისეობა, სათემო ორგანიზაციის ჩართულობა

ბაგა-ბაღის აღმზრდელებთან ეფექტური მუშაობა, ოჯახებთან პარტნიორული ურთიერთობის გარეშე შეუძლებელია. საუკეთესო შედეგებს, ოჯახის და საბავშვო ბაღის მიდგომების თანხვედრა და მათი შეთანხმებული მოქმდება განაპირობებს.,,ოჯახის მონაწილეობა დიდი ხანია წარმოადგენს მრავალი ქვეყვის სკოლამდელი აღზრდის კურიკულუმების ნაწილს, ოჯახის ცართულობას მიჰყვება წარმატება, თუ მოვუსმენთ ოჯახის წევრების მოსაზრებებს და რჩევას მივცემთ ბავშვების საჭიროებების შესახებ“(ბარბაქაძე., ლ., 2022., გვ. 65).

ბავშვი ვითარდება ორივე გარემოში: ოჯახში და ბაღში. ის სწავლობს მაგალითებზე, ურთიერთობით, პირდაპირ თუ ირიბად, როდესაც ოჯახისა და ბაღის მიდგომებში არ არის თანხვედრა, ბავშვი იბნევა და რაც არ უნდა ხარისხიანი იყოს და პასუხობდეს მის საჭიროებებს, გამოცდილებას ცალმხრივად არ მივყავართ მისი სწავლისა და განვითარების შესაბამის და მაქსიმალურ შედეგებამდე.

ბავშვი საერთო ინტერესია, რომ ეს ორი მხარე ერთმანეთს უნდა ავსებდეს და აძლიერებდეს; ურთიერთპატივისცემა, ღია კომუნიკაცია, ინფორმაციის თანამიმდევრული

გაცვლა, ერთმანეთის მოსმენა, ურთიერთგაგება, ერთმანეთისაგან სწავლა და თანამშრომლობა, საბოლოო ჯამში ბავშვის კეთილდღეობას ემსახურება.

ამიტომაც, ყოველი წლის დასაწყისში, სკოლამდელ დაწესებულებაში, მშობლებთან პოზიტიური თანამშრომლობის მიზნით, იმართება შეხვედრები, სადაც ხდება ორივე მხარის მოლოდინების გაცვლა, წარმატებების გაზიარება და გამოწვევების იდენტიფიცირება; შეხვედრის მიზანი არა ცალმხრივად ინფორმაციის მიწოდებაა, არამედ ბაღის ადმინისტრაციასა და მშობლებს შორის ნდობისა და ურთიერთგაგებისათვის საფუძველის შექმნა. ამათანავე, მშობლის,,როლის '' განსაზღვრა ბაღის ცხოვრებაში მონაწილეობისათვის. ეს შეიძლება იყოს: მშობელი, როგორც მოხალისე, ექსპერტი, დამხმარე, მმართველი და სხვა (ბარბაქაძე., ლ., 2022, გვ. 67).

აღსაზრდელის დადებით და ძლიერ მხარეებზე ყურადღების გამახვილება, ყველასთან ურთიერთობაში ძალიან მნიშვნელოვანია. ასეთი მიდგომა მშობელს პროფესიონალთან თანასწორ პოზიციაში აყენებს, ხოლო აღსაზრდელთან ურთიერთობაში პედაგოგს უადვილებს დასახულ მიზნების შესაბამის შედეგებზე გასვლას.

სკოლამდელი დაწესებულების თანამშრომლობის კვალდაკვალ, მშობლების რესურსის გამოყენება, რომელიც მეტად მრავალფეროვანია და მათთან ნაყოფიერი თანამშრომლობა მათი პროფესიული თუ მოხალისეობრივი რესურსის გამოყენების გარანტიაა. ჩვენთვის დიდი გამოწვევაა, რომ ოჯახებმა შეძლონ ბაღის ცხოვრებში მონაწილეობის მრავალფეროვანი შესაძლებლობის გამოყენება.

ჩვენს მიერ მათივე ზემოთ ჩამოთვლილი,,როლების“ გათვალისწინებით, ეს შეიძლება იყოს როგორც სხვადასხვა ტიპის ექსკურსიები, ქალაქში/ სოფელში არსებულ სხვადასხვა ღირსშესანიშნაობების დასათვალიერებლად, სკოლებში მათი მომავალი სწავლის არეალის მოსანახულებლად; ყოველ წელს ჩვენ ბაღში იმართება ღია კარის დღე მომავალი ბენეფიციარებისა და მათი მშობლებისათვის; ასევე, ბაღის სხვა ღონისძიებები, სხვადასხვა სახის ზეიმები, სადაც მშობელთა აქტიური ჩართულობა ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენთვის.

იმისათვის, რომ ბავშვების ოჯახებიდან მეტის სანდოობა გამოიკვეთოს ბაღისადმი, ჩვენი კონკრეტული ბაღის მაგალითზე, ყოველთვის ვცდილობთ, რომ ჩავრთათ მშობლები გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ეს უზრდის მათ იმის განცდას, რომ მათ უსმენენ, რომ ბაღი მათაც ეკუთვნით და ამის შემდეგ, ხშირად მოგვმართავენ ისინი ახალი ინიციატივებით და თავად ეძებენ გზებსთ თუ როგორ იყვნენ ბაღის ცხოვრებაში მეტად ჩართულნი.

ჩვენთვის არანაკლებ მნიშვნელოვანია, ბაგა-ბაღის ცხოვრებაში სათემო ორგანიზაციების ჩართულობა და მათთან თანამშრომლობაც. ბავშვთა განმავითარებელი აქტივობები, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა პროფესიულ საქმიანობებთან, ბავშვებს უფრო ხალისიან, მიზანდასახულ და საინტერესო ცხოვრებას უქმნის. საინტერესო და ხალისიანი პრაქტიკული აქტივობები, როგორებიცაა: თექაზე და თიხაზე მუშაობა, სამხატვრო მასტერკლასები, გზაზე მოძრაობის წესების პრაქტიკულად დაუფლება, ბაღისა და სასკოლო

ცხოვრების განმახორციელებლი დავალებების შესრულება, სკოლის პედაგოგთა მიერ მათემატიკური და საბუნებისმეტყველო ექსპერიმენტების ჩვენება და ბავშვების მიერ მისი შესრულება, პედაგოგის როლის მორგება, მათ უფრო მეტად თავდაჯერებულს ქმნის და დამოუკიდებლობისა და თვითშეფასების ხარისხს უმაღლებს.

სკოლამდელი განათლების მკვლევრები მრავალგზის მიუთითებენ, რომ ასეთი პროცესების წარმართვა ბაღის ასაკიდანვე, იმასთან ერთად, რომ ხელს უწყობს ბავშვისა და მათი ოჯახების მეტ ჩართულობას ბაღის ცხოვრებაში, ბავშვების შემეცნებითი განვითარების, ცნობიერების ამაღლებას, დასწავლასა და გუნდური მუშაობის მნიშვნელობის საჭიროების აღქმის მხარდამჭერი სტრატეგიებია.

გამოყენებული ლიტერატურა:

დოლიძე., ხ, ბაქრაძე,ნ და ჯიჯავაძე., 2020,,ადრეული განათლების კურიკულუმი“, მეთოდური სახელმძღვანელო, თბილისი. გამომცემლობა,,უნივერსალი“.

ბასილაძე., ი, ბალანჩივაძე., ი და ბერუჩაშვილი., მ; 2018.,,,ადრეული განათლების კურიკულუმები და მათი განვიტარების სხვადასხვა ასპექტები“., რედაქტორები, ვლ. ადეიშვილი, ნ. ქობულაძე; აკაი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა; ISBN 978-9941-455-62-9, ქუთაისი

ბარბაქაძე., ლ., 2022.,,,მშობელთა ჩართულობა და პოზიტიური მშობლობის მხარდაჭერა“., საერთაშორისო კონფერენცია:,,ადრეული განათლება და ზრუნვა“; გაეროს ბავშვთა ფონდი საქართველოში, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი., ISBN 978-9941-8-5-29-5., ბათუმი.

Naira Tarugashvili
kindergarten N 7 of the Telavi municipality

Importance of cooperation of preschool institution with family and community

Abstract

Effective work with children is impossible without partnership with families. The best results are determined by the convergence of family and kindergarten approaches and their coordinated action. A child develops in both environments, in the family and in the garden. He learns by examples, relationships. The child is a common interest, these two sides should complement and strengthen each other, mutual respect, open communication, consistent exchange of information, listening to each other, mutual understanding, learning from each other and cooperation serve the well-being of the child. The article reviews practical examples of family and community involvement in kindergarten life and examples of children's practical activities, which have a positive impact on the child's well-being, and give parents and the community more motivation to be more involved in kindergarten life.

Key words: involvement, mutual respect, information exchange, open communication, child